საქრუსენერგო
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
SAKRUSENERGO
JSC UNITED ENERGY SYSTEM

N 05/203
10/04/2023

203-05-2-202304101753

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2021-2031 და 2022-2032 წლების ათწლიანი გეგმა ითვალისწინებს სომხეთის ელექტროსისტემასთან დამაკავშირებელი 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) მშნებელობას. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის თქვენს მიერ 2023 წლის 09 იანვარს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბრძანება N5/ს.

2023 წლის 06 მარტს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილით რომელსაც თან ერთვოდა 2023 წლის 16 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის წერილი სს გეს „საქრუსენერგოს“ ეცნობა რომ, საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი საპროექტო 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „მარნეული-აირუმის“ N119 საყრდენისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: N83.12.17.069 (ფართობი 382 კვ.მ) მდებარეობდა 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში და ფართობის დაახლოებით 173 კვ.მ გადადიოდა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე დაიგეგმა 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“, საპროექტო N119 საყრდენის განთავსების მდებარეობის ცვლილება. ცვლილების შედეგად N119 ანძის პროექტით გათვალისწინებული მდებარეობა გადმოიწია საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში 65 მეტრით. პროექტით გათვალისწინებული კოორდინატები იყო: X 491905.92 Y 4568441.01, ხოლო შეცვლილი მდებარეობის კოორდინატებია: X 491940.37 Y 4568496.38. შეცვლილი მდებარეობის კოორდინატები და განაშენიანების ფართობი შეთანხმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან, მოხდა პირვანდელ მდებარეობაზე 83.12.17.069 ს. კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების ცვლილება შეცვლილ მდებარეობაზე. შეცვლილი მდებარეობა და განაშენიანება ასევე შეთანხმდა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში.

აღნიშნული იწვევს 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ ახალასაშენებელი მონაკვეთის (500 კვ ეგხ „მუხრანის“ N42 ანძიდან საქართველი-სომხეთის საზღვრამდე) პროექტისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, რისთვისაც შპს „მაგმას“ მიერ მომზადდა 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიში.

წარმოგიდგენთ 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ ელექტროგადამცემი ხაზის, სკრინინიგის ანგარიშს და SHP ფაილებს N119 საყრდენის კორექტირებული მდებარეობის

მარკ ბრომშტეინის ქ. 1: 0178, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 20 33 88; ფაქსი: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge ელ.ფოსტა:info@sakrusenergo.ge
ს/კ 211324468

1 Mark Bronstein Str., 0178, Tbilisi. Georgia
Tel: +995 322 20 33 88; Fax: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge E-mail:info@sakrusenergo.ge
i/w 211324468

გათვალისწინებით. ასევე გაცნობებთ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების N5/ს ით გათვალისწინებულ სხვა საპროექტო საყრდენების მდებარეობებს ცვლილება არ შეხებია.

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში და შეითანხმოთ 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ მშენებლობასთან მიმართებაში.

დანართი:

- სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 06 მარტის წერილი N5/12448 – 1 ფურც;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2023 წლის 16 თებერვლის წერილი MIA 4 23 00453499 – 3 ფურც;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2023 წლის 22 მარტის წერილი MIA 5 23 00815092 –1 ფურც. N119 საპროექტო საყრდენის შეცვლილი მდევარეობის შეთანხმებაზე;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 6 აპრილის N10/19126 წერილი, საპროექტო N119 ანძაზე დამაგრებული, N83.12.17.069 ს კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებაზე.
- 500კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიში - მატერიალური სახით;
- 500კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.
- 500 კვ ეგხ ,,მარნეული აირუმის“ SHP ფაილები კორექტირებული N119 საყრდენის გათვალისწინებით;

პატივისცემით,

ბაჩანა სულაძე

გენერალური დირექტორი